

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის

ბრძანება № 465/თ

1999 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმებისა და მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების დანიშვნისა და გამოწერის მოწესრიგების მიზნით, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) ნარკოტიკული საშუალების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმა 1 (დანართი 1);

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმა 2 (დანართი 2);

გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების დანიშვნის, გამოწერისა და სპეციალური რეცეპტის ბლანკის შედენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, ჩამოწერისა და განადგურების დროებითი წესი (დანართი 3);

დ) რეცეპტის ბლანკების სააღრიცხვო ჟურნალის ფორმა (დანართი 4);

ე) ფორმა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს რეცეპტის ერთ ბლანკზე გამოწერისათვის ნებადართული და საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების ზღვრული ოდენობები (დანართი 5);

2. ნება დაერთოთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები გამოწერონ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1997 წლის 14 აგვისტოს №304/თ „რეცეპტის ბლანკების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური რეცეპტის ბლანკებზე, მათი მარაგის ამოწურვამდე.

3. რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 2) გამოწერას დაექვემდებაროს საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებები, გარდა კალიუმის პერმანგანატისა.

4. კალიუმის პერმანგანატი გაიცეს ურეცეპტოდ, ერთ ხელზე არა უმეტეს 5 გრამისა.

5. ექსტემპორალურად მოსამზადებელი ნებისმიერი კომბინირებული წამლის ფორმა, რომელიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალს, მაგრამ მის შემადგენლობაში შედის ნარკოტიკული საშუალება, გამოიწერება ფორმა 2 რეცეპტის ბლანკზე.

6. ექსტემპორალურად მოსამზადებელი ნებისმიერი კომბინირებული წამლის ფორმა, რომელიც არ მიეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ საშუალებათა და ნივთიერებათა ჩამონათვალს, მაგრამ მის შემადგენლობაში შედის სპეცკონტროლირებადი არანარკოტიკული ერთი ან რამდენიმე ნივთიერება, გამოიწერება ფორმა 2 რეცეპტის ბლანკზე.

7. ავთიაქებს ეკრძალებათ წამლის გაცემა ამ ბრძანების დანართი 3-ით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოწერილი რეცეპტის ბლანკების (ფორმა 1, ფორმა 2) საფუძველზე.

8. დაევალოთ წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტს (ა. თომამე), ნარკოტიკებზე კონტროლის ინსპექციას (თ. კვირკელია), ნარკოლოგიისა და ფსიქიატრიის

სამეცნიერო, კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს (გ. ლეჟავა, გ. ნანეიშვილი) 1 თვის ვადაში მოამზადონ ამ ბრძანების მე-5 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისი ინფორმაცია.

9. დაევალოს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტს (ა. თომამე) ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული რეცეპტის ბლანკების საჭირო რაოდენობით სტამბური წესით დაბეჭდვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო სამუშაოები და ფინანსური გათვლები.

10. გაუქმდეს ა) ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1997 წლის 14 აგვისტოს № 304/ო „რეცეპტის ბლანკების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების 1.1, 1.2 და 2.1 ქვეპუნქტები; ბ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1997 წლის 17 სექტემბრის №361/ო ბრძანებით დამტკიცებული „აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული შხამების, ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი ნივთიერებების და ფარმაცევტული პრეპარატების მიღების, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესების „29-ე პუნქტი.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 16 თებერვლის ბრძანება №18/ო-სსმIII, №15, 25.02.2000წ., მუხ. 142

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „მედიცინაში“ და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ა. გამყრელიძეს.

ა. ჯორბენაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 16 თებერვლის ბრძანება №18/ო-სსმIII, №15, 25.02.2000წ., მუხ. 142

2. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 7 აპრილის ბრძანება №64/ო-სსმIII, №33, 17.04.2000წ., მუხ. 317

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №329/ნ-III, №117, 25.11.2002წ., მუხ. 1021

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის ბრძანება №158/ნ-III, №101, 16.07.2008წ., მუხ. 1125

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №210/ნ-III, №140, 22.09.2008წ., მუხ. 1381

დანართი №1

ნარკოტიკული საშუალების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმა

(რეცეპტის ბლანკი ყვითელი ფერის)

დაწესებულების შტამში

ფორმა 1

რეცეპტის № 000000

ნარკოტიკული საშუალების მისაღებად
 გამოწერის თარიღი -----
 ავადმყოფი -----
 (სახელი, მამის სახელი, გვარი)
 ასაკი -----
 ამბულ. ბარათის (ავად. ისტორიის №) -----
 დიაგნოზი -----
 RP.: -----
 S: -----
 ექიმის ხელმოწერა -----
 (სახელი, გვარი)
 ექიმის პირადი ბეჭედი
 ბეჭედი რეცეპტებისათვის
 დაწესებულების ღერბიანი ბეჭედი

დამტკიცებულია
 საქართველოს ჯანმრთელობის
 დაცვის მინისტრის 1999 წლის №
 ბრძანებით

ექიმის სახსოვარი
 – რეცეპტში სამკურნალო საშუალება
 იწერება გენერიული დასახელებით,
 ლათინურ ენაზე, ლურჯი ან შავი
 ბურთულიანი კალმით;
 – ერთ ბლანკზე გამოიწერება
 მხოლოდ ერთი სამკურნალო საშუალება;
 – ნებადართულია მხოლოდ
 დადგენილი წესით დაშვებული
 შემოკლებანი.
 რეცეპტი ვარგისია 7 დღის
 განმავლობაში
 გამოწერის დღის ჩათვლით

შენიშვნა: ა) რეცეპტის ბლანკს აქვს წარწერა „განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტი“;
 ბ) რეცეპტის ბლანკი იბეჭდება დაცვის მქონე სპეციალურ ქაღალდზე.

დანართი №2

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო
 საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმა**

(რეცეპტის ბლანკი მწვანე ფერის)

დაწესებულების შტამში

ფორმა 2

რეცეპტი ფ.ნ № 000000

სპეციალურ კონტროლს
 დაქვემდებარებული
 არანარკოტიკული სამკურნალო
 საშუალებების მისაღებად
 გამოწერის თარიღი -----
 ავადმყოფი -----
 (სახელი, გვარი)
 ამბულატორიული ბარათის ან
 რეგისტრაციის №----
 RP.: -----
 S: -----
 ექიმის ხელმოწერა -----
 (სახელი, გვარი)
 ექიმის პირადი ბეჭედი
 ბეჭედი რეცეპტებისათვის

დამტკიცებულია
 საქართველოს ჯანმრთელობის
 დაცვის მინისტრის 1999 წლის №
 ბრძანებით

ექიმის სამახსოვრო

– რეცეპტში სამკურნალო
 საშუალება იწერება გენერიული
 ან სავაჭრო დასახელებით,
 ლათინურ ენაზე, ლურჯი ან შავი
 ბურთულიანი კალმით;
 – ერთ ბლანკზე გამოიწერება
 მხოლოდ ერთი სამკურნალო
 საშუალება;
 – ნებადართულია მხოლოდ
 დადგენილი წესით დაშვებული
 შემოკლებანი.
 რეცეპტი ვარგისია 14 დღის

დაწესებულების გერბიანი ბეჭედი
(ამოღებულია)

განმავლობაში გამოწერის დღის
ჩათვლით

შენიშვნა: ა) რეცეპტის ბლანკს აქვს წარწერა „განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტი“;
ბ) რეცეპტის ბლანკი იბეჭდება დაცვის მქონე სპეციალურ ქაღალდზე;
გ) რეგისტრაციის ნომერი ნიშნავს სპეციალურ სააღრიცხვო ჟურნალში გატარებული იმ ავადმყოფის რიგით ნომერს, რომელზეც გაიცა რეცეპტი.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 7 აპრილის ბრძანება №64/ო-სსმIII, №33, 17.04.2000წ., მუხ. 317

დანართი №3

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების დანიშვნის, გამოწერისა და სპეციალური რეცეპტის ბლანკის შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, ჩამოწერისა და განადგურების დროებითი წესი

1. ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებები გამოიწერება ყვითელი ფერის სპეციალური რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 1, „ნარკოტიკული საშუალებების მისაღებად“).

2. გამოწერილ რეცეპტში (ფორმა 1) აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ავადმყოფის სახელი, მამის სახელი, გვარი, ასაკი;

ბ) ამბულატორიული ბარათის ნომერი;

გ) დიაგნოზი;

დ) რეცეპტის გამომწერი ექიმის სახელი და გვარი;

ე) გამოწერილი ნარკოტიკული საშუალების დასახელება;

ვ) ერთჯერადი და სადღეღამისო დოზა;

ზ) მიღების წესი;

თ) გამოწერის თარიღი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის ბრძანება №158/ნ-III, №101, 16.07.2008წ., მუხ. 1125

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №210/ნ-III, №140, 22.09.2008წ., მუხ. 1381

3. რეცეპტი ნარკოტიკული საშუალების მისაღებად გამოიწერება ორ ცალად, გადამღები ქაღალდის მეშვეობით. პირველი პირი გაიცემა ნარკოტიკული საშუალების მიმღებზე, ხოლო მეორე პირს უკეთდება წარწერა „ასლი და ინახება პოლიკლინიკის პასუხისმგებელ პირთან 5 წლის განმავლობაში“.

რეცეპტის ბლანკის დედანისა და ასლის სერიები და ნომრები იდენტურია.

აკრძალულია რეცეპტის ასლის შტამპითა და ბეჭდით დამოწმება.

4. ნარკოტიკული საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკების შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის და გამოწერის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი, რომელიც საჭიროებს ნარკოტიკული საშუალებებით სიმპტომატურ მკურნალობას, გარკვეული მიზეზების გამო ცხოვრობს ნათესავთან ან სხვა ახლობელთან, ტერიტორიული პოლიკლინიკა ვალდებულია დადგენილი წესით აღრიცხვაზე აიყვანოს ასეთი ავადმყოფი (ამ უკანასკნელის მიმართვის შემთხვევაში) და გაუწიოს ყველა სახის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარება.

6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებები გამოიწერება მწვანე ფერის სპეციალური რეცეპტის ბლანკზე (ფორმა 2 – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებების მისაღებად“).

7. გამოწერილ რეცეპტში (ფორმა 2) აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) ავადმყოფის სახელი, გვარი;
- ბ) ამბულატორიული ბარათის ან რეგისტრაციის ნომერი;
- გ) რეცეპტის გამოწერილი ექიმის გვარი;
- დ) გამოწერილი სამკურნალო საშუალების დასახელება;
- ე) ერთჯერადი და სადღეღამისო დოზა;
- ვ) მიღების წესი;
- ზ) გამოწერის თარიღი.

8. სამკურნალო დაწესებულებაში გამოწერილი რეცეპტი (ფორმა 2) მოწმდება დაწესებულების შტამპით, ბეჭდით, „რეცეპტებისათვის“ და ექიმის პირადი ბეჭდით.

9. რეცეპტის ბლანკი (ფორმა 2) ივსება გარკვევით, მეღწით ან ბურთულიანი კალმით და მასში ყოველგვარი შესწორების შეტანა აკრძალულია.

10. აკრძალულია ბეჭედდასმული და ხელმოწერილი ნარკოტიკული საშუალების რეცეპტის ბლანკის (ფორმა 1) შენახვა, აგრეთვე, გამოწერამდე მათი შტამპითა და ბეჭდით დამოწმება.

11. რეცეპტის ბლანკის (ფორმა 2) აღრიცხვა ხორციელდება ზონარგაყრილ, დანომრილ, დაწესებულების ბეჭდითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით დალუქულ სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელსაც აწარმოებს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით გამოყოფილი პირი.

ჟურნალში, რომელიც ინახება 5 წლის განმავლობაში, ფიქსირდება:

- ა) რეცეპტის ბლანკების გამცემი დაწესებულებიდან გამოტანილი რეცეპტის ბლანკების დასახელება;
- ბ) გამოტანილი რეცეპტის ბლანკების რაოდენობა სერიებისა და ნუმერაციის მითითებით;
- გ) ანგარიშ-ფაქტურის ნომერი;
- დ) რეცეპტის ბლანკების გამოტანის თარიღი;
- ე) რეცეპტის ბლანკების ექიმზე გაცემის თარიღი;
- ვ) ექიმზე გაცემული რეცეპტის ბლანკების რაოდენობა სერიისა და ნომრის მითითებით;
- ზ) რეცეპტის ბლანკების მიმღები ექიმის ხელმოწერა (გარკვევით) და თარიღი;
- თ) განადგურებული რეცეპტის ბლანკების სერიები და ნომრები.

12. ერთ რეცეპტზე (ფორმა 2) დასაშვებია მხოლოდ ერთი დასახელების მედიკამენტის გამოწერა.

13. გამოწერილი რეცეპტი (ფორმა 2) ძალაშია 14 დღის განმავლობაში, გამოწერის დღის ჩათვლით.

14. ინდივიდუალურ საექიმო საქმიანობაზე შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური პირის (შემდგომში – კერძო პრაქტიკის ექიმი) მიერ რეცეპტის (ფორმა 1, ფორმა 2) გამოწერის წესი რეგულირდება წინამდებარე დანართის 14-25 პუნქტებით.

15. რეცეპტის (ფორმა 1, ფორმა 2) გამოწერის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იმ კერძო პრაქტიკის ექიმს, რომელიც აღრიცხვაზე იმყოფება ნარკოტიკებზე კონტროლის ინსპექციაში და გააჩნია შესაბამისი ცნობა.

16. კერძო პრაქტიკის ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი (ფორმა 1, ფორმა 2) მოწმდება პირადი ბეჭდით და ხელმოწერით, ხოლო იმ ადგილზე, სადაც მინიშნებულია „სამკურნალო დაწესებულების შტამპი“, იწერება ფიზიკური პირის დასახელება და შესაბამისი სერტიფიკატის ნომერი.

17. კერძო პრაქტიკის ექიმის მიერ რეცეპტის ბლანკის გამოწერის ყოველი ფაქტის შესახებ ჩანაწერი კეთდება ავადმყოფის ინდივიდუალურ ბარათში და სპეციალურ ჟურნალში. ავადმყოფის ინდივიდუალურ ბარათში მიეთითება გამოწერილი სამკურნალო საშუალების რაობა და რაოდენობა, მისი დანიშვნის დასაბუთება, ერთჯერადი ან სადღეღამისო დოზა, რეცეპტის ბლანკის ნომრის და გამოწერის თარიღი, ხოლო სპეციალურ ჟურნალში ფიქსირდება ავადმყოფის სახელი და

გვარი, გამოწერილი სამკურნალო საშუალების რაობა, რაოდენობა, რეცეპტის ბლანკის ნომერი და გამოწერის თარიღი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №329/ნ-III, №117, 25.11.2002წ., მუხ. 1021

18. კერძო პრაქტიკის ექიმი, რომელიც ავადმყოფების საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებების გამოწერის სურვილს გამოთქვამს, რეცეპტის ბლანკების (ფორმა 1) მიღებაზე ნებართვისათვის განცხადებით მიმართავს ნარკოტიკებზე კონტროლის ინსპექციას, რომელშიც მიუთითებს რეკვიზიტებს, შესაბამისი სერტიფიკატის ნომერს, რეცეპტის ბლანკების საჭირო რაოდენობას, ამოწმებს ხელმოწერით და პირადი ბეჭდით.

ინსპექციის ხელმძღვანელი პირი განცხადებაზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს, რასაც ამოწმებს ინსპექციის ბეჭდით და ხელმოწერით.

განცხადებაზე დაფიქსირებული ჩანაწერი რეცეპტის ბლანკის გამცემი ორგანიზაციისათვის წარმოადგენს რეცეპტის ბლანკის გაცემის საფუძველს.

19. რეცეპტის ბლანკის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია ათი დღის ვადაში მიაწოდოს ინსპექციას წერილობითი ინფორმაცია კერძო პრაქტიკის ექიმზე გაცემული რეცეპტის ბლანკის (ფორმა 1) შესახებ, რეცეპტის ბლანკების მიმღები ფიზიკური პირის დასახელების და გაცემული რეცეპტის ბლანკების რაოდენობის (ფიზიკური პირის დასახელების და რეცეპტის ნუმერაციის ჩვენებით) ჩვენებით.

20. აფთიაქი, რომელიც კერძო პრაქტიკის ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის (ფორმა 1) საფუძველზე გასცემს ნარკოტიკულ საშუალებას, ვალდებულია აღნიშნული რეცეპტის ბლანკების შესახებ მონაცემები (რეცეპტის გამომწერი ფიზიკური პირის დასახელება და რეცეპტის ნომრები) 10 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ინსპექციას.

21. კერძო პრაქტიკის ექიმი რეცეპტის ბლანკებს უნდა ინახავდეს სეიფში.

22. რეცეპტის ბლანკების (ფორმა 2) მისაღებად კერძო პრაქტიკის ექიმი წერს მოთხოვნას რეცეპტის გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მიუთითებს რეკვიზიტებს, შესაბამისი სერტიფიკატის ნომერს, რეცეპტის ბლანკების საჭირო რაოდენობას, ამოწმებს ხელმოწერით, პირადი ბეჭდით და ნარკოტიკებზე კონტროლის ინსპექციაში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელ ცნობასთან ერთად წარუდგენს რეცეპტის ბლანკის გამცემ დაწესებულებას.

23. კერძო პრაქტიკის ექიმზე რეცეპტის ბლანკები (ფორმა 2) ერთჯერადად გაიცემა არაუმეტეს 500 (ხუთასი) ცალისა.

24. კერძო პრაქტიკის ექიმს უნდა გააჩნდეს რეცეპტის ბლანკების სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) შესაბამისი სამსახურიდან რეცეპტის შეძენის თარიღი;
- ბ) შეძენილი რეცეპტების რაოდენობა სერიებისა და ნუმერაციის ჩვენებით;
- გ) ანგარიშ-ფაქტურის ნომერი;

25. კერძო პრაქტიკის ექიმი ვალდებულია დაიცვას ამ წესით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, რომელიც არ ეწინააღმდეგება 14-25 პუნქტებს.

26. აკრძალულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სანარკოზო საშუალებების რეცეპტის ბლანკზე გამოწერა.

27. ექსტემპორალურად მომზადებული წამალი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებებს ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ შხამს, ფორმდება სიგნატურით და აფთიაქიდან გაიცემა დალუქულ მდგომარეობაში.

28. რეცეპტზე (ფორმა 2) გამოსაწერი სამკურნალო საშუალების ისეთი ოდენობით გამოწერისას, რომელიც აღემატება ერთჯერად მაქსიმალურ დოზას, აფთიაქის ფარმაცევტს უფლება არა აქვს გასცეს წამალი დადგენილი უმაღლესი გამოსაწერი დოზის ნახევარ ოდენობაზე მეტი.

ამ შემთხვევაში ფარმაცევტი ვალდებულია რეცეპტის უკანა გვერდზე გააკეთოს ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული რაოდენობის მითითებით, რაზეც ხელს აწერს წამლის მიმღები.

29. თუ ექსტემპორალურად მოსამზადებელი წამლის შემადგენლობაში შედის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება, მაშინ რეცეპტში (ფორმა 1, ფორმა 2) ის გამოიწერება დასაწყისში.

30. გაუვარგისებული რეცეპტის ბლანკი (ფორმა 1, ფორმა 2) გადაიხაზება ჯვარედინად, იხვრიტება და ინახება განადგურებამდე რეცეპტის ბლანკების აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირთან.

31. გაუვარგისებული რეცეპტის ბლანკის განადგურება ხდება თვეში ერთხელ, დაწვის გზით, იმ კომისიის მიერ, რომელიც უფლებამოსილია გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების (სტაციონარულ-სამკურნალო დაწესებულებაში) ან დაბრუნებული ნარკოტიკული საშუალებების განადგურებაზე (ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები).

თუ დაწესებულებას არ გააჩნია მუდმივმოქმედი კომისია, მაშინ გაუვარგისებული რეცეპტების განადგურებას ახდენს ამ დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილი კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი პირისაგან.

32. განადგურებული რეცეპტის ბლანკების სერიები და ნომრები ფიქსირდება ამ წესის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში.

33. რეცეპტი (ფორმა 1) აფთიაქში ინახება 5 წლის, ხოლო რეცეპტი (ფორმა 2) – 3 წლის განმავლობაში.

34. რეცეპტი (ფორმა 1, ფორმა 2), რომელიც არ პასუხობს ამ წესით დადგენილ რომელიმე მოთხოვნას, ითვლება ძალადაკარგულად და მის საფუძველზე წამლის გაცემა აკრძალულია.

35. ავადობის აქტიური გამოვლინების და პროფილაქტიკური ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას ნებადართულია არანარკოტიკული სამკურნალო საშუალებების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკების (ფორმა 2) გამოყენება.

36. ამ წესის 35-ე პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებისას:

ა) რეცეპტის ცარიელი ბლანკები (ფორმა 2) ინახება მათ შენახვაზე და აღრიცხვაზე სპეციალური ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან;

ბ) რეცეპტის ცარიელი ბლანკების (ფორმა 2) აღრიცხვა, ექიმებზე გაცემა, გაუვარგისებული რეცეპტის ბლანკების განადგურება და გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე წამლის გაცემა ხორციელდება წინამდებარე წესით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით;

გ) ექიმებს ეკრძალებათ ნარკოტიკული საშუალების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის (ფორმა 1) გამოყენება.

დანართი №4

რეცეპტის ბლანკების სააღრიცხვო ჟურნალის ფორმა

	შემოსავალი	გასავალი	განადგურებული რეცეპტის ბლანკის სერია, № და
--	------------	----------	--------------------------------------------

									განადგურების თარიღი
№	რეცეპტების სახეობა (ფორმა 1, ფორმა2)	შემოტანის თარიღი	ანგარიშ-ფაქტურის № და თარიღი	რაოდენობა, სერია და №	ვისზე გაიცა (ექიმის გვარი)	გაცემის თარიღი	რაოდენობა, სერია და №	რეცეპტის მიმღები ექიმის ხელმოწერა	

დანართი №5

ფორმა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს რეცეპტის ერთ ბლანკზე გამოწერისათვის ნებადართული და საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული არანარკოტიკული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების ზღვრული ოდენობები

№	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალების დასახელება		წამლის ფორმა	ზომის ერთეული	ერთ რეცეპტზე გამოსაწერი მაქსიმალური დოზა
	სავაჭრო	გენერიკული			
1	2	3			